სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ი/მ თორნიკე აშვეთიას (ს/კ 53001002315)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 01 დეკემბრის N 21/12200 ხარვეზის წერილის და 2025 წლის 5 ნოემბრის N21/11110 წერილში მოცემული შენიშვნების საფუძველზე წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთის 35-ე ქუჩა N10-ში ი/მ თორნიკე აშვეთიას (ს/კ 53001002315) თევზსაშენი მეურნეობის მოწყობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ-ს ანგარიშს. დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ:

1 საკითხი: გზშ-ის ანგარიში კვლავ არ მოიცავს ინფორმაციას ჩაღრმავებული ქვაბულების და არსებული ტბორების ფართობის ცვლილებისთვის საჭირო სამუშაოებისა და ტექნოლოგიების შესახებ (მათ შორის, shp-ფაილებით წარმოდგენილი შესაბამისი ტბორების ფორმის გათვალისწინებით). ასევე, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება არსებული ტბორების მხოლოდ ნაწილის გამოყენება და ფართობის შეცვლა. აღნიშნული საკითხები გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს განხილული;

განმარტება: გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, გაცემული იყო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, სადაც ხორციელდებოდა წიაღისეულის მოპოვება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა გამონამუშევარი ფართობები - ჩაღრმავებულ ქვაბულები, რომელბიც შეივსო წვიმის წყლებით და წარმოიქმნა ბუნებრივი ტბორები. ტერიტორია საკუთრებაში გადაეცა მეპატრონეს ისე რომ გამონამუშევარი ტერიტორიის რეკულტივაცია არ იყო ჩატარებული. მეპატრონეს მიწის სამუშაოები (ქვაბულიების ამოვსება, ან დარღმავებითვის საჭირო საექსკავაციო სამუშაოები არ ჩაუტერებია). ტერიოტირაზე არსებული ქვაბულები მოსახერხებელი აღმოჩნდა სატბორე მეურნეობის ფუნციონირებისათვის. მოთხოვნილი ინფორმაცია ჩაღრმავებვულის ქვაბულების შესახებ თუ გულისხმობს საპროექტო ფართობზე ქვაბულების რაოდენობას ან/და თითოეული ქვაბულის დახასიათებას აღნიშნული შეუძლებელია, მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ არსებული სხვადასხვა ზომის და ფორმის ქვაბულები ჯამში ქმნიან საერთო მოცულობის ორ ტბორს. გზშ-ს დოკუმენტში წარმოდგენლია ქანების გეოლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური მახასიათებლების შეფასების შესახებ ინფორმაცია.

რაც შეეხება ტბორების ნაწილის გამოყენებას და ფართობის შეცვლას, აღნიშნული საჭირო გახდა მაშინ, როცა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 22 იანვრის N 22/142 წერილით ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული ტბორები უმეტესად კვეთს რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების კონტურს. წარმოდგენილი ტბორების გამოვლინების ტერიტორიასთან თანაკვეთის ფართობია 105745 კვ.მ და 85075 კვ.მ ქვიშა-ხრეშის ჯამური მარაგი შეადგენს 572460 კუბ.მ-ს. ,,წიაღის შესახე'' საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპესაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს, (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით) რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. შესაბამისად კომპანია ვალდებული იყო გადაეხადა ტერიტორიაზე განაშენიანების სანაცვლოდ განსაზღვული საკომპესაციო თანხა (572460 მ³ x 0,6ლარი=343 476 ლარი) რაც კომპანიისთვის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე მოცემული თანხის გადახდა შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება შეემცირებინა სატბოე მეურნეობის ფართობი, ქვიშა-ხეშის გამოვლინების კონტურთან თანაკვეთის აცილების გამო.

სსიპ გარემოს ეროვნული
სააგენტო
„15" 12 2025 წ.
№ 12745

ტბორების ნაწილის გამოყენების შესახებ შემცირებული ფართობი წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშში shp-ფაილებით, რაც შეეხება ფართობის შემცირებას ტექნიკურად, ტბორში ქვიშა-ხეშის გამოვლინების თანაკვეთის ფართობზე **ტბორის ფართობის შესამცირებლად საჭირო არ არის მიწის საექსკავაციო სამუშაოების ჩატარება, ტბოროში არსებული ე.წ ბუნებრივი „კუნძულები" და ტბორებს შორის ასრებული გრუნტის გზა წარმოადგენს ბუნებრივ გამყოფ საზღვარს.** თუმცა **უსაფრთოების მიზნით დაგეგმილია** ტექნიკურად განხორციელდეს სათევზე ტბებში აპრობირებული მეთოდით **ტბორის გაყოფა წყალქვეშა ბადის გამოყენებით.** წყალქვეშა ბადე წარმოადგენს სპეციფიკურ ქსელურ ქსოვილს, რომელიც მყარად მაგრდება წყლის ფსკერზე შესაბამისი მოწყობილობებით. ბადის დახმარებით შესაძლებელი იქნება წყლის მასების ვერტიკალური გაყოფა. სათევზე მეურნეობებში **წყალქვეშა ბადის გამოყენება მარტივი და ეფექტურია, მისი მონტაჟი ნაკლებად მოქმედებს გარემოზე.** წყალქვეშა ბადის გამოყენებით შესაძლებელია წყლის ხარისხის სხვადასხვა დონეებით კონტროლი. წყალქვეშა გამყოფი ბადის მონტაჟის დროს გათვალისწინებული იქნება ბადის ფორმა და ზომა და მონტაჟის დეტალური ინფორმაცია დეტალურად წარმოდგენილია გზშ-ში.

2 საკითხი: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" (შემდგომ - კოდექსი) **მიხედვით "არატექნიკური რეზიუმე" გულისხმობს გზშ-ის ანგარიშის მოკლე აღწერას, რომელიც მოიცავს ინფორმაციასსაქმიანობის განხორციელების ადგილის, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და ანგარიშით გათვალისწინებული სხვა საკითხების თაობაზე, რაც შესრულებული უნდა იყოს არატექნიკურ ენაზე (საზოგადოების უკეთ ინფორმირებისათვის) და უნდა ერთვოდეს გრაფიკული და საილუსტრაციო მასალები, თუმცა წარმოდგენილი "არატექნიკური რეზიუმე" ვერ პასუხობს კოდექსის მოთხოვნებს და ფაქტიურად იმეორებს გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას. აღნიშნულის გათვალისწინებით, არატექნიკური რეზიუმე შესაბამის კორექტირებას საჭიროებს;**

განმარტება: დაკორექტირებულია წარმოდგენილია "არატექნიკური რეზიუმე" გზშ-ის ანგარიშის მოკლე აღწერა;

3 საკითხი: კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებების შესახებ, როგორც მშენებლობის ისე, ექსპლუატაციის ეტაპებზე. რაც ანგარიშში შესაბამისადლ უნდა დაზუსტდეს. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით (სააგენტოს 14.02.2025 წ. N71/ს ბრძანება) მოთხოვნილი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, რომელშიც უნდა აისახოს საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ ცხოველებზე, მათ შორის, წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობების ზემოქმედებაზე დაკვირვების/მონიტორინგის ამსახველი ინფორმაცია. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება ზემოაღნიშნული საკითხებიც. ასევე, მონიტორინგის გეგმაში უნდა განისაზღვროს მონიტორინგი სწარმოების ვადები, პერიოდულობა, ხანგრძლივობა და სხვა მონაცემები;

განმარტება: მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშში დეტალურად და ამომწურავად

4 საკითხი: კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის **შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა** და მათი შედეგებისშეფასების შესახებ, მათ **შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას.** წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში ზემოაღნიშნული ინფორმაცია არ არის დეტალურად განხილულიდა კონკრეტული გეგმის მიხედვით წარმოდგენილი. რაც შესაბამისად უნდა დაზუსტდეს;

განმარტება: გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა.

5 საკითხი: **გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ "გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია სხვადასხვა თემატური გარემოსდაცვითი დოკუმენტების მომზადება, მათ შორის: საწარმოს საქმიანობის პროცესში ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი". გამომდინარე იქედან, რომ დაგეგმილი საქმიანობა ზდჩ-ის ნორმების პროექტის შემუშავებას/სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს, აღნიშნული ჩანაწერი დაზუსტებას მოითხოვს**

განმარტება: ვინადიან დაგეგმილი საქმიანობა ზდჩ-ის ნორმების პროექტის შემუშავებას/სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს, გზშ-ს ანგარიშში დაკორექტირდა ტექსტი.

6 საკითხი: გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ტბორისთვის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით შპს„საქართველოს მელიორაციასთან" მომსახურების ხელშეკრულება, სადაც აღნიშნულია, რომ ტბორების ფართობი შეადგენს 17 ჰა-ს, ხოლო საშუალო სიღრმე - 1.5 მეტრს. შესაბამისად, ტბორების ჯამურ მოცულობად მითითებულია 25500 მ³. თუმცა გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტბორების ჯამური მოცულობა შეადგენს 423000 მ³-ს. აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;

განმარტება: გზშ-ს ანაგრიშში წარმოდგენილი შპს „საქართველოს მელიორაციასთან" მომსახურების ხელშეკრულება, გაფორმებულია 2025 წლის 17 აპრილს, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია რომ ტბორების სარკისებრი ზედაპირის ჯამური ფართოაბია 17 ჰა, სიღრმე - 1,5 მ წყლის ტევადობის ჯამური მოცულობა 255000 კუბ.მ, სატბორე მეურნეობის ფართობის შემცირებაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2025 წლიოს ნოემბრის თვეში და შესაბამისად წამოდგენილი იქნა გზშ-ს ანაგრიში. **ამდენად ხელშეკრულება გაფორმებული იყო პირვანდელ მოცემულობაზე** (დიდი ტბორის სიღრმე - 3მ, ფართობი - 17, 250 ჰა, პატარა ტბორის სიღრმე - 6მ, ფართობი-12,650ჰა), ამასთან მელიორაციას წყლის მოხმარების ობიექტად აღებული აქვს მხოლოდ ერთი დიდი ტბორი (მთლიანი ფართობი 17 ჰა), რადგანაც წყალი მიეწოდება დიდი ტბორს (მიუხედავად იმისა რომ ჩვენ გამოვიყენებთ დიდი ტბორის შემცირებულ ნაწილს 279 000 მ³) და მისგან თვითდინებით გადადის მეორე პატარა ტბორში, ამიტომ მეორე პატარა ტბორისთვის ახალი წყაღების წერტილი საჭირო არ არის. ასევე ხელშეკრულებაში ტექნიკურ მახასიათებებლებში სიღმედ 1,5მ აღებულია მელირაციის წყლით ტბორში წყლის დონის შესავსებად საჭირო წყლის საშუალო სიღმე და არა ტბორის სიღმე - 3მ. ხელშეკრულების მიხედვით მელიორაციიდან მოწოდებული წყლის მოცულობა ჯამში შეადგენს 464,916 კუბ.მ-ს
ამდენად, წყალაღება მოხდება იგივე წერტილში და იგივე პრინციპით, წყალი შევა დიდი ტბორში (17, 250 ჰა) და შემდეგ ისევ თვითდინებით გადავა პატარ ტბორში, მიუხედავად ტბორის შემცირებული ფართობის (279 000 მ³) გამოყენებისა. ასევე ტბორებს სამელიორაციო არხიდა წყლის სისტემატური მიწოდება არ ესაჭიროება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტბორების ჯამური მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 423000 მ³-ს. მელიორაციიდან მოწოდებული წყლის მოცულობა შეადგენს 464,916 კუბ.მ-ს გზშ-ს თავში წარმოდგენილია დეტალურად მელიორაციიდან აღებული წყლის რაოდენის შესახებ თვეების მიხედვით.

7 საკითი: გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს 29.14.32.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთის Shp ფაილები. ვინაიდან საქმიანობა დაგეგმილია აღნიშნული მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე, საჭიროა ანგარიშს თან ახლდეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ტერიტორიების Shp ფაილები, შესაბამისი დასახელებით (მათ შორის, მისასვლელი გზები და სხვ.),ხოლო გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესაბამისი გენერალური გეგმა, ექსპლიკაციით;

განმარტება: გზშ-ის ანგარიშს ახლავს როგორც 29.14.32.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთის Shp ფაილები. ასევე ტბორების (შემცირებული ფართობის) ტერიტორიების Shp ფაილები, შესაბამისი დასახელებით.

8 საკითხი:. კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს მის მომზადებაში მონაწილე პირების (მათ შორის, კონსულტანტის) მიერ, თუმცა წარმოდგენილი ანგარიშის ელექტრონულ ვერსიაში არსებულ ცხრილში არ არის მოცემული ანგარიშის შედგენაში მონაწილეპირთა ხელმოწერები;

განმარტება: **გზშ-ს ანაგრიშში** ანგარიშის ელექტრონულ ვერსიაში გაკეთებულია ხელმოწერები;

9 საკითხი: . დამატებით, გზშ-ის ანგარიში და „არატექნიკურ რეზიუმე“ ასევე გადასახედია შინაარსობრივი და ტექნიკური თვალსაზრისით, დოკუმენტი მოიცავს არაერთ ტექნიკურ, სტილისტურ და ტერმინოლოგიურ ხარვეზს (მ.შ. გასასწორებელია დოკუმენტის სახელწოდება - "გარემოზეზემოქმედების შეფასების ანგარიში"; ანგარიშის 96-100 გვერდები ცარიელია; „არატექნიკურრეზიუმეში“ მოცემულ სარჩევში არ არის მითითებული ინფორმაცია ქვეთავების შესაბამისი გვერდების შესახებ; სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების/შენიშვნებისგათვალისწინების ცხრილი გასასწორებელი სტილისტურად და ა.შ.), რაც შესაბამის კორექტირებას და გამართვას საჭიროებს.

განმარტება: მოთხოვნები დაკორექირებულია

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული გზშ-ს განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება. ასევე, ვინაიდან მეწარმე სუბიექტი ვალდებულია შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, დოკუმენტების მომზადებამდე არ დაიწყოს საქმიანობა, რაც სამეწარმეო საქმიანობისთვის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. გთხოვთ დოკუმენტის განხილვისას გათვალისწინებული იქნას ,,მარტივი ხარვეზები'', რაც ახანგრძლივებს გადაწყვეტილების მიღების პერიოდს. დოკუმენტში მაქსიმალურადაა აღწერილი და გადმოცემული საპროექტო ტერიტორიის ადგილის /გარემოს და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. თუ აღნიშული ინფორმაცია არ იქნება საკმარისი შეფასებისთის, შეგიძლით ადგილზე გადამოწმება რეალობასთან შესაბამისობის დადგენისთვის..

დანართი: 1. გზშ-ს ანგარიში, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმით; CD დისკი
2. პროექტის ,,არატექნიკური რეზიუმე''
3. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტის ქვითრის ასლი
4. shp -ფაილები

პატივისცემით,
ი/მ თორნიკე აშვეთია
12.12.2025 წელი